



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აზუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 874
20/12/2018

874-09-4-201812201221



ბრძანება

ხულოს მუნიციპალიტეტის გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე, რიყეთის თემის სოფელ დანისპარაულში, კურორტ „გოდერძი“-ს ტერიტორიაზე, ხათუნა ქორიძის (პ. ნ. 61001001167) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23. 14. 36. 457) მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ

მიმდინარე წლის 12 დეკემბერს ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო ქალაქ ბათუმში ზუბალაშვილის ქ. №18, ბინა №15-ში მცხოვრებ ხათუნა ქორიძის (პ. ნ. 61001001167) №10753/09 განცხადებაზე კურორტ „გოდერძი“-ს ტერიტორიაზე, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23. 14. 36. 457) მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის და მე-X-ე თავით მოთხოვნილ პირობებთან. ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII და მე-X-ე თავების, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის

გურამ დეკანაძის 2018 წლის 14 დეკემბრის №3004-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1) დაკმაყოფილდეს ხათუნა ქორიძის (პ. ნ. 61001001167) მოთხოვნა და შეთანხმებული იქნას ხულოს მუნიციპალიტეტის გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე, რიყეთის თემის სოფელ დანისპარაულში, კურორტ „გოდერძი“-ს ტერიტორიაზე, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23. 14. 36. 457) მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი;

2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ჩაბარება;

3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის ქუჩა №5), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

4) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვახტანგ ბერიძე

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა

